



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №186/17

მსჯავრდებულ -- -- 2017 წლის 27 ოქტომბრის -- საჩივრისა და 2017 წლის 13 ნოემბრის -- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ, დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 04 აპრილის 757/186-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა მსჯავრდებულ -- -- 2017 წლის 27 ოქტომბრის -- საჩივრისა და 2017 წლის 13 ნოემბრის №№-- საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დისციპლინურ საქმეზე, 2018 წლის 02 მაისს, მოსამართლე -- -- მიერ, (რეგისტრაციის --ო) წარმოდგენილია მოსაზრებები, სადაც მოსამართლე უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს დისციპლინურ საჩივრებში მითითებულ პრეტენზიებს. მოსამართლე აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების პროცესში, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო, რაც შეეხება მიკერძოების ფაქტებს, ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: მოსამართლის განმარტებით, პროკურორ -- -- მონაწილეობით მას არაერთი სს საქმე აქვს განხილული, მათ შორის, ის საქმეებიც, სადაც გამამართლებელი განაჩენი იქნა დადგენილი, ხოლო, განაჩენები გასაჩივრებულია სააპელაციო წესით, ბრალდების მხარის მიერ. შესაბამისად, დაუსაბუთებლად მიიჩნევს მისი მიკერძოების თაობაზე, მომჩივნის პრეტენზიას. მოსამართლე ასევე ყურადღებას ამახვილებს პროცესის მიღმა ბრალდებულის დამცველებთან კომუნიკაციის საკითხებზე და აღნიშნავს,

რომ ადვოკატებთან მას არანაირი შემხებლობა, მით უფრო ნაცნობობა არ ჰქონია არც, კონკრეტული სს საქმის განხილვამდე და არც, ამ საქმის განხილვის პროცესში არ ჩამოყალიბებულა ისეთი ურთიერთობა, რომ პროცესის მიღმა ჰქონოდათ ერთმანეთთან კომუნიკაცია. შესაბამისად, არ ეთანხმება საჩივარში მოყვანილ არცერთ გარემოებას, მისი მხრიდან დისციპლინური გადაცდომების ჩადენასთან მიმართებით.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მაისის №186/17 დასკვნა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) წარმოებაში იმყოფებოდა -- -- მიმართ სს საქმე. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილ საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ განაცხადა, რომ „ის მოსამართლედ არ დაბადებულა და მანამდე პროკურორის რანგში მოღვაწეობდა“. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნულით, მოსამართლემ გამოხატა მიკერძოება და გააფრთხილა, რომ სასამართლო და ბრალდების მხარე ერთი გუნდის წევრები იყვნენ.

1.2. სასამართლო სხდომაზე დაკმაყოფილდა შუამდგომლობა, დამცველის აცილების თაობაზე, რის შემდეგ, ადვოკატმა მის წინააღმდეგ მისცა ჩვენება. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, დაკითხვის პროცესზე ნათლად გამოიხატა, რომ მოსამართლეს და ადვოკატს, მისი დასწრების გარეშე, პროცესის მიღმა ჰქონდათ კომუნიკაცია.

1.3. სისხლის სამართლის საქმის განხილვა წელიწადნახევრის განმავლობაში უსაფუძვლოდ ჭიანურდებოდა. საბოლოოდ კი, მოსამართლემ საქმეზე უკანონო გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით, -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, მსჯავრდებულს სასჯელად განესაზღვრა - ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა მსჯავრდებულ -- -- მიერ. არსებული მდგომარეობით, საქმე იმყოფება თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დადგინდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. წარმოდგენილ საჩივარში, მითითებულია მოსამართლის მიკერძოების შესაძლო ფაქტზე სახელმწიფო ბრალმდებელთან მიმართებით. აღნიშნულის საფუძველად, მომჩივანი კონკრეტულ შემთხვევაზე მიუთითებს და აპელირებს მოსამართლის შემდეგ ფრაზაზე: „ის მოსამართლედ არ დაბადებულა და მანამდე პროკურორის რანგში მოღვაწეობდა“. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნულით, მოსამართლემ გამოხატა მიკერძოება და გააფრთხილა, რომ სასამართლო და ბრალდების მხარე ერთი გუნდის წევრები იყვნენ.

მოცემულ შემთხვევაში, იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიკერძოების ფაქტს, მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე ყურადღება გამახვილდეს ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ საკითხებზე:

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 3.1. პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო. ამასთან, 3.2. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას – აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება:

სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან, ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (*Fey v. Austria* § 28 და 30; *Wettstein v. Switzerland*, § 42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (*Pullar v. the United Kingdom*, § 32).

განსახილველ საქმესთან მიმართებით, მომჩივანი მოსამართლის მიკერძოების კონკრეტულ შემთხვევას ასახელებს. სადავო ფაქტის გამოკვლევისას კი დგინდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 08 თებერვლის სასამართლო სხდომაზე დაიკითხა მოწმე -- -- (გამომძიებელი). დაკითხვის პროცესში, დაცვის მხარემ მოწმეს რამდენჯერმე მიმართა ერთიდაიგივე შინაარსის კითხვით, შეკითხვის სხვადასხვაგვარი ფორმულირებით. აღნიშნულზე, გამოთქმული ბრალდების მხარის პროტესტის გათვალისწინებით, სასამართლომ რამდენჯერმე მიუთითა ადვოკატს, პასუხგაცემული შეკითხვების განმეორებით დასმის დაუშვებლობაზე.

დამცველი - ... სანამ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას, გამომძიებელი თუ შენიშნავს რომ არ არსებობს სისხლის სამართლის ნიშნები, თუ ეუბნება გამომძიებელი ჩემი აზრით აქ არ არსებობს ნიშნები და თქვენ გადაწყვიტეთ? ესეთ შემთხვევას თუ ჰქონდა ადგილი... რატომ არის მნიშვნელოვანი ამაზე დასკვნით სიტყვაში გეტყვით...

მოსამართლე - დიდი მადლობა, რომ მეტყვით, მაგრამ პროცესში ყოველ შემთხვევაში ასე არ წერია და პროკურორიც ვიყავი და გამომძიებელიც და გამომძიებელი ვიყავი მაშინ როცა, გაცილებით უფრო მეტი უფლებამოსილება ჰქონდა საპროცესო, ვიდრე ეხლა აქვს.

დამცველი - ბატონო მოსამართლე, მიპასუხოს მაშინ ან კი, ან არა.

მოსამართლე - გითხრათ თავისი პოზიცია.

მოწმე - გიპასუხეთ, ბატონ -- (პროკურორი) ჩემი ასაკის გამოცდილება აქვს და მე კონსულტაციას...

მოსამართლე - სხვათაშორის წინა პროცესზეც აქვს ბატონი -- და თქვენი მოსაზრებები ემთხვევა.

დამცველი - თქვენი ქება არ სჭირდება, ისედაც ვიცი რომ ძაან მაგარი ადამიანი და პროკურორია.

მოწმე - ნამდვილად (სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერი 17:39 – 17:42)

საკითხზე მსჯელობისა და ობიექტური შეფასების მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის მიერ ნათქვამი ფრაზა: „პროკურორიც ვიყავი და გამომძიებელიც“ განვიხილოთ ნათქვამის კონტექსტის გათვალისწინებით. არსებულ მოცემულობაში კი, როგორც ირკვევა, მოსამართლის მიკერძოების თაობაზე მოსაზრება წარმოადგენს მხოლოდ საჩივრის ავტორის სუბიექტურ აღქმას საკითხისადმი. კერძოდ, ობიექტურად, არც, ნათქვამის კონტექსტი, საუბრის თემა და აგრეთვე არც, სხვა გარემოებები, გარეშე დამკვირვებლისთვის არ იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ მოსამართლემ გამოხატა მიკერძოება. სადავო ფრაზა მიმართულია საკითხის პროცესუალურ განმარტებაზე: „პროცესში ყოველ შემთხვევაში ასე არ წერია და პროკურორიც ვიყავი და გამომძიებელიც და გამომძიებელი ვიყავი მაშინ როცა, გაცილებით უფრო მეტი უფლებამოსილება ჰქონდა საპროცესო, ვიდრე ეხლა აქვს..“. ნათქვამის შინაარსობრივი დატვირთვა კი არ იძლევა შესაძლებლობას, განმარტება დამატებითი მნიშვნელობითაც იქნეს აღქმული.

ამდენად, სადავო შემთხვევასთან არ დგინდება მოსამართლის მიკერძოებულობა. შესაბამისად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

3.2. 2017 წლის 06 ოქტომბრის სასამართლო სხდომასთან მიმართებით, საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის დამცველის აცილების შუამდგომლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, მიუთითებს, რომ სასამართლომ დაარღვია კანონმდებლობის მოთხოვნები, როცა ადვოკატს შესაძლებლობა მისცა მის წინააღმდეგ მიეცა „ჩვენება“. ამასთან, მომჩივნის მოსაზრებით, შუამდგომლობის განხილვის პროცესში ნათელი იყო, რომ ადვოკატს და მოსამართლეს, მისი დასწრების გარეშე, პროცესის მიღმა ჰქონდათ კომუნიკაცია. პრეტენზიას უფროს დაზუსტებით, საჩივრის ავტორი არ აკონკრეტებს.

საკითხზე დეტალური მსჯელობის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2017 წლის 06 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულ -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, დამცველთა აცილების თაობაზე, იმ მოტივაციით, რომ მასსა და ადვოკატებს შორის არსებობდა განსხვავებული პოზიციები, უსიამოვნო საუბრები, რაც დაცვის ეფექტურ განხორციელებას ხელს უშლიდა. შუამდგომლობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მოისმინა ასევე ადვოკატების მოსაზრებებიც. შუამდგომლობის განხილვის პროცესში, ადვოკატ -- -- პარალელურად ასევე განაცხადა თვითაცილების შესახებ შუამდგომლობა, დაადასტურა მასსა და ბრალდებულს შორის ინტერესთა შეუთანხმებლობა და აღნიშნა, რომ შეუძლებლად მიაჩნდა ბრალდებულის დაცვის გაგრძელება. წარმოდგენილ შუამდგომლობებს, ასევე დაეთანხმა ბრალდების მხარეც. სასამართლოს განჩინებით,

შუამდგომლობა - ბრალდებულის დამცველი ადვოკატების აცილების თაობაზე, დაკმაყოფილდა (სასამართლო სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერი -15:24 – 15:34).

დამცველის მიერ სს საქმეზე „ჩვენების“ მიცემასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, ბრალდებულის არცერთი დამცველი, საქმის წარმოების პროცესში მოწმის სახით არ დაკითხულა. 2017 წლის 06 ოქტომბრის სხდომასთან დაკავშირებით კი, სასამართლომ აცილების შუამდგომლობასთან დაკავშირებით მოისმინა ადვოკატთა მოსაზრებები. აღნიშნული, თავისი მნიშვნელობით, გაიგივებული ვერ იქნება ჩვენების მიცემის საპროცესო მოქმედებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო მოქმედებდა საქართველოს სსსკ-ის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში. დასახელებული ნორმის თანახმად, პირს, რომელსაც აცილება მისცეს, აცილების საკითხის განხილვამდე უფლება აქვს, მისცეს განმარტება. შესაბამისად, ამ მიმართებითაც, სასამართლოს მხრიდან დაცულია საპროცესო მოთხოვნები.

მოსამართლესა და დამცველს შორის, კანონით დაუშვებელ კომუნიკაციასთან მიმართებით:

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2013 წლის 16 დასკვნის თანახმად, მოსამართლეებსა და ადვოკატებს შორის ურთიერთობები ყოველთვის უნდა იცავდეს სასამართლოს მიუკერძოებლობას. მოსამართლეები და ადვოკატები სრულად უნდა აცნობიერებდნენ ზემოაღნიშნულს და სასამართლოს მიუკერძოებლობა დაცული უნდა იყოს სათანადო პროცედურული და ეთიკური წესებით (§24).

„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე აკრძალულია მოსამართლესთან პროცესის მონაწილის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა და პოლიტიკური თანამდებობის პირის კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს.

მოსამართლესა და ადვოკატს შორის, პროცესის მიღმა კომუნიკაციის ფაქტი, საჩივრის ავტორის მოსაზრებით გამოვლინდა 2017 წლის 06 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სადავო საკითხი შემოწმდა 2017 წლის 06 ოქტომბრის სასამართლო სხდომასთან მიმართებით, საქართველოს კანონის „საერთო სასამართლოების

მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ ფარგლებში.

გამოკვლევის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 06 ოქტომბრის სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის თანახმად არ დგინდება ისეთი გარემოება, რაც კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან დაკავშირებით, ნებისმიერ დაინტერესებული პირის მოსამართლესთან შესაძლო კომუნიკაციის ფაქტზე მიუთითებდა.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომების ჩადენის ფაქტები.

3.3. მომჩივანი არასაპატიმრო საქმეზე პრეტენზიას აფიქსირებს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებასთან და მიაჩნია, რომ ამ მიმართებით მოსამართლის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany*, § 18; *Kart v. Turkey*[GC], § 68).

საქართველოს სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.

სადაო ფაქტის შეფასებისთვის, მნიშვნელოვანი გარემოებები:

- -- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 05 ივლისის განჩინებით, -- -- აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო - 1000 ლარის ოდენობით, რის გამოც, საქმე მიეკუთვნება არასაპატიმრო საქმეთა კატეგორიას. მოცემული ფაქტი საყურადღებოა იმ კუთხით, რომ მოსამართლის საქმეთა დატვირთვის პირობებში, როცა უპირატეს რეჟიმში ხდება საპატიმრო კატეგორიის საქმეთა განხილვა, ობიექტურად შეუძლებელია საქმეზე ჩატარებული საპროცესო ქმედებათა განხორციელება შედარებით მოკლე ვადებში.

- წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ, საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ, გადაწყვეტილება მიღებულია 2016 წლის 02 სექტემბერს.

- საქმის არსებითი განხილვის მიზნით, საქმეზე დანიშნული იყო 29 სასამართლო სხდომა (07.09.16; 15.09.16; 30.09.16; 05.10.16; 18.10.16; 24.10.16; 09.11.16; 01.12.16; 16.12.16; 10.01.17; 26.01.17; 08.02.17; 24.02.17; 16.03.17; 29.03.17; 07.04.17; 03.05.17; 17.05.17; 26.06.17; 06.06.17; 07.07.17; 16.08.17; 04.09.17; 05.09.17; 06.09.17; 22.09.17; 28.09.17; 06.10.17; 26.10.17;).

- სასამართლო სხდომების გადადება უმეტესწილად განპირობებულია დაცვის მხარის ადვოკატთა საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობით. აღნიშნულმა, მეტწილად განაპირობა არსებული ვადით საქმის განხილვა. ასევე უნდა აღინიშნოს, ის გარემოებაც, რომ გადადებულ სასამართლო პროცესებს შორის პერიოდი გონივრულად ხანმოკლეა (ხშირ შემთხვევაში თვის განმავლობაში საქმეზე ინიშნებოდა რამდენიმე სასამართლო სხდომა).

- პროცესის გადადებებისას, სასამართლოს უწევდა სხდომის თარიღების მხარეებთან შეთანხმება, რა დროსაც, დაცვის მხარის ადვოკატების ხშირი მოუცლევლობის გამო, პროცესების დანიშვნა ვერ ხერხდებოდა უფრო შემჭიდროვებულ ვადებში. შესაბამისად, საქმეზე სასამართლო სხდომები მიმდინარეობდა მხარეთა და სასამართლოს საპროცესო თავისუფალი გრაფიკის დამთხვევით.

- საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება, გამამტყუნებელი განაჩენის სახით, მიღებულია 2017 წლის 26 ოქტომბერს.

- მოსამართლის საქმეთა დატვირთვა: 2016 წელს მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 241 საქმე (77 ადმინისტრაციული სამართლის საქმე; 84 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე; 63 სს საქმე; სს სხვა კატეგორიის 17 საქმე;), საიდანაც დაასრულა 230 საქმე (75 ადმინისტრაციული სამართლის საქმე; 84 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, 54 სს საქმე; სს სხვა კატეგორიის 17 საქმე); 2017 წელს მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 149 საქმე (128 სს საქმე; სს სხვა კატეგორიის 21 საქმე) საიდანაც განიხილა 144 საქმე (123 სს საქმე; სს სხვა კატეგორიის 21 საქმე). მოცემულთან ასევე უნდა აღინიშნოს იმ გარემოებაზეც, რომ მოსამართლე -- -- წარმოადგენს -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და სასამართლო საქმეთა განხილვის პარალელურად, იგი ამავდროულად ასრულებს სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც.

მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, კონკრეტულ სს საქმეზე არსებითი განხილვის სასამართლო წარმოების ვადა შეადგენს 1 წელს, 1 თვესა და 24 დღეს. შესაბამისად, საქმე განხილულია საქართველოს სსსკ-ის 186-ე მუხლით დადგენილ 24 თვიანი საპროცესო ვადაში.

ამასთან, მიზანშეწონილია დამატებით აღინიშნოს იმ გარემოებაზეც, რომ საქმეზე დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაწესებული საქმის განხილვის გონივრული ვადის სტანდარტიც, საქმეზე განხორციელებული საპროცესო მოქმედებების, სასამართლოსა და მხარეთა ინიციატივების გათვალისწინებით¹.

შესაბამისად, არ დგინდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ფაქტი.

3.4. მომჩივარი ეჭვს ქვეშ აყენებს სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) კანონიერებას, მტკიცებულებათა არასწორად შეფასების საფუძველზე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული საკითხი დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია შემოწმდეს, შემდეგ სამართლებრივ გარემოებათა გამო:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

კონკრეტულ შემთხვევაში საკითხზე მსჯელობა მოითხოვს მტკიცებულებათა რელევანტურობის, უტყუარობის კუთხით, სასამართლოს შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი დასკვნების შემოწმების აუცილებლობას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, ამგვარ სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში.

¹ Ciricosta and Viola v. Italy; Katte Klitsche de la Grande v. Italy; Papachelas v. Greece; Human v. Poland; König v. Germany; Pafitis and others v. Greece; Tiece v. San Marino; Sürmeli v. Germany;

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება), „ე“ (მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) და „თ“ (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომების ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №186/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი